გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაბეჭდად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის სააგენტოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


1877—1887 წელიწადი


## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა. ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

ВЪ 1888 ГОДУ

(ПЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по нынѣшней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Съ 12-го ноября 1887 г. „Новое Обозрѣніе“ выходитъ двумя изданіями, изъ которыхъ **первое**, вечернее, предназначено для Восточнаго Закавказья и сдается на вечерній поѣздъ желѣзной дороги, а **второе**, утреннее,—для гор. Тифлиса, Западнаго Закавказья и Россіи.

**Условія подписки**, съ пересылкою и доставкою: на годъ **10** р., на полгода—**6** р., на три мѣсяца—**3** р. **50** к., на одинъ мѣсяцъ—**1** р. **50** к. За границу: на годъ—**17** р., на полгода—**9** р. **50** к., на три мѣсяца—**5** р. (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

**Объявленія**: на 4-й страницѣ газеты по расчету **5** к. за строку петита или за занимаемое ею мѣсто. На первой страницѣ—**15** к. за такую-же строку.

Подписка и объявленія принимаются: **ВЪ ТИФЛИСѢ**—въ конторѣ изданія, **Головинскій просп., домъ кн. Мухранскаго; ВЪ БАКУ**—въ отдѣленіи конторы, **при аптекѣ Чишковскаго**, на углу Барятинской и Милютинской улицъ; **ВЪ КУТАИСѢ**—въ отдѣленіи конторы, **при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе**, противъ бульвара, въ домѣ Г. Андроникова.

Иногородные адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.**

Редакторъ **М. А. Успенскій.**
Издатель кн. **З. Р. Тумановъ.**

(5—1)


ტფილისი, 8 დეკემბერი

საფრანგეთმა საკვირველი ბეწვის ხიდი გამოიარა ამ ბოლოს ხანებში და გამოიარა ისე, რომ ხიდი ფეხ-ქვეშ არ ჩასწყდომია. ჩვენებურმა გლეხ-კაცმა იცის, რომ ამისთანა ხიდზე მარტო მადლიანი კაცი გაივლის, ცოდვილს ვერ გაუძლებს და ჩაუწყდება ხოლმეო. ალბად საფრანგეთიც მადლიანი ყოფილა და არა ისეთი ცოდვილი, როგორც იმის მტერ-მოყვარეებს ჰგონიათ.

მართლა რომ დიდი საქმე მოხდა. პირ-ქვე დაამხეს რუვიეს სამინისტრო და ეს კიდევ არაფერი: თვითონ პატიოსანი და რესპუბლიკის ერთგული პრეზიდენტი გრევი გამოიმეტეს და პრეზიდენტის ტახტიდამ ძირს გადმოსვეს. არ გავიდა სამი-ოთხი დღე და სადი-კარნო ამოირჩიეს პრეზიდენტად და საქმეები თავის კვალშივე ჩაჰდგა, თითქო აქ არაფერი მომხდარაო.

ამ ამბავმა დაანახვა ქვეყანას, რომ დას-დასებად გაბზარულმა საფრანგეთმა გაჭირების დროს ერთად თავის მოყრა იცის და საფრანგეთის საერთო სიყვარულის წინაშე ყოველივე ცალკე გულის-თქმა, ცალკე წადილი ხმას გაიკმენდს და გულზე ხელებს დაიკრებს ხოლმე. ესეთი ზნეობიანი ძალ-ღონე საფრანგეთისა იქნება უფრო საფრთხილებელი და საშიშარი იყოს იმის მტრისათვის, ვიდრე მთელი მეთოფ-იარაღებული მხედრობა.

რა არის სახელმწიფოსათვის ცალიერი მხედრობა? მარტო ხორცია უსულო, უგულო, თუ ეგ ზნეობიანი ძალ-ღონე—სიყვარული მამულისა—აგებულებაში სისხლსავით არ უტრიალებს ყოველს ცალკე მამულის-შვილს, ყოველს ცალკე ჯარის-კაცსა.

ეს პრეზიდენტის კრიზისი ამისი ბეწვის-ხიდი იყო: მამულის სიყვარულისათვის საშინელი განსაცდელი იყო და დღეს მამულის სიყვარულმა საფრანგეთში სახელოვანად გადიხადა ეს განსაცდელი და უთქმელად შეუთვალა თავის მტერს—მიფრთხილდიო და მოყვარეს—მომენდე, ძალი შემწევს ქადილისაო.

ამ განსაცდელისაგან სახელოვანად გამოსული საფრანგეთი სხვა ზრუნვა-ნაღველს მიეცა. სამინისტროს შედგენა ახალის პრეზიდენტისათვის უნდა მეტის-მეტად გაძნელებულიყო და ესეც მოხდა. პალატის ჯან-მრთელმა და შორს მჭვრეტელმა ნაწილმა ამისათვის ორი პირობა დასდო, როგორც ამბობენ გაზეთები. ერთი ისა, რომ ახალს სამინისტროში არ უნდა მიღებულ იქმნან არც ერთი, ვინც რუვიეს სამინისტროში იყო და მეორე ისა, რომ ახალმა სამინისტრომ უნდა წარმოუდგინოს პალატებს განსაზღვრული და ცხადი პროგრამმა რეფორმებისაო.

კლემანსო, რომელიც ეხლა დაწინაურებულ დასის ნიჭიერ და ჭკუა-დამჯდარ მოთავედ ითვლება, ამბობსო—მოგვითხრობს ერთი გაზეთი,—რომ „თუ წინანდელს კაცებს კვლავ დავარჩენთ სამინისტროში, კაცებს, ცოტად თუ ბევრად უკანასკნელის ამბებით შერცხვენილებს, ეგ იმას ეგვანება, რომ მძიმე განსაცდელი პრეზიდენტობის გამოცვლისა კუბების კამედიად გარდავაქციოთ. თუ სამინისტროში იმისთანა კაცებს შევიყვანთ, რომელთაც არავითარი უნარი არა აქვთ, არავითარი გამორკვეული რწმენა, გამორკვეული პროგრამა—ეგ იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ გვსურს მთავრობა უღონო, უაზრო, უსულო ვიყოლიოთო“.

რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგი აზრიც დაძრულია საფრანგეთში. ოპორტუნისტების გაზეთი „République Française“-ი ძალიან აუპილხილდა ზემოთქმულსა და ცხარედ იძახის: „ვინც უნდა იყოს ახალ სამინისტროში, ჩვენთვის სულ ერთია, ყველას ერთნაირად დავუხვდებით და ხელს გავუწვდითო. ხოლო თუ ერთმა მათგანმა დაუთმორამ რადიკალებსა, ჩვენ მაშინვე დაუძინებელ მტრად გავუხდებითო“.

ეხლა რომ თვალი მოატაროს კაცმა საფრანგეთში, მარტო ამ ორთა აზრთა ბრძოლას და მდინარებას დაინახავს და რომელი გაიტანს ბურთს საბურთალო მოედნიდამ, დრო გამოაჩენს.

## ფელეტონი

### ბებია კეკე

ნასყიდაანთ კეკელას ვინ არ იცნობს, იმისი ამბავი აელაბრიდგან ვერამდე და ჩუღურეთ-კუკიიდგან მთაწმინდა-სოლოლაკამდე თითქმის ყველამ იცის. ერთს დროს ბევრი ლაპარაკი იყო კეკელაზე, დედაკაცებს კეკელას ამბავი-ღა ჰქონდათ თითზე დახვეული და საიდამაც უნდოდათ, ათას ნაირს კუდს გამოაბამდნენ ხოლმე ეს ჭორის გუდები; ბევრჯელ მიუდვიათ ტუჩებზე თითი და წამოუძახნიათ: „ქა! ვუი, თვალები-კი დაუდგა, აჰა, ახად მოსულიაო!“, ბევრჯელ უამბნიათ ერთმანერთისათვის ეს ერთი და იგივე ამბავი, მაგრამ ბოლოს ლილა კეკელას ამბავსაც გაუცვდა, იყაყანეს, იჭორიკანეს და ჩაჩუმდნენ; ახლა სხვა ამბავი გამოუტყვრათ ენის სატრიალებელ მასალად.

კეკელას და იმის მშობლებს თავის უბედურებაზე ეს ქვეყნის ლაქლაქი უფრო გულს უკლავდა; აღარავინ მიიკარა ნასყიდაანთ ოჯახი და ბევრჯელ, როცა ნასყიდას ცოლს ოსანას ჩხუბი მოუვიდოდა მეზობელ დედაკაცებთან, სეიდაბათელებს წამოუძახნიათ:

— უი, ქა! ვის ეპასუხები? შენც ქვეყანაზედ თავი გამოგეყოფება და ხმა ამოგეღება! წადი, წადი, შენს აშარს ქალს ნამუსის კალთა დააფარე, თავანკარი რომ გყავს, იმისმა ძუძუების მოჭრამა, აჰაი! ერთი ქალი გყვანდა და იმასაც ალვირი ვერ დაუჭირე, აი მიწამ გიყოთ პირი, მიწამ, თქვე დედა-ბუდიანად კაპ-გაწყვეტილებო, თქვენა!!

აბა, ამ დროს დაადგებოდა აი კეკელას შავი და ბნელი დღე. გაწიწმატებული და მეზობლებისაგან შეკეთებული ოსანა შეუვარდებოდა თავის უბედურს ქალსა და გაჰქონდა კეკელას ზურგზე ქობინას დაგა-დუგი: არავინ იყო კეკელას შემბრალებელი, ერთი ღვთისნიერი ადამიანი არ გამოჩნდა, რომ თვალზე შეუშრობელი ცრემლი მოეწმინდა და ნუგეშის სიტყვა ეთქვა; ტოლ-ამხანაგი ქალებიც-კი განზედ უვლიდნენ, კეკელას რომ დაინახავდნენ.

იტანჯებოდა კეკელა, ცრემლებს ნაკადულსავით ღვრიდა, თავ-ბედს იწყევლიდა, მაგრამ მაინც კიდევ იმედი ჰქონდა, რომ დურგალი სერგუა დაბრუნდებოდა უკან თავის ქვეყნიდგან და ასე ლეჩაქ-ახდილს არ დაანებებდა თავსა. მით უფრო ჰქონდა კეკელას ამის იმედი, რომ სერგუა გულით უყვარდა, ამ სიყვარულმა გაათბედინა ჩადენილი საქციელი და ეს სიყვარულივე ატანინებდა ყველასაგან ათვალწუნებასა და წყევლა-კრულვასა. სერგუას დაბრუნების იმედიც რომ არა ჰქონოდა, მაშ რაღა უნდა ექნა, ხომ წყალში გადასავარდნელი გაუხდებოდა თავი; ვისთვის შეეჩივლა, ვისთვის ეთქვა თავისი დარდი და ნაღველი, ვინ გაუგონებდა? მამა? ღმერთმა დაიფაროს! ნასყიდა ერთი ღარიბი ხარაზი გახლდათ, წინად-კი იმის ქება იყო თურმე და მთელი სეიდაბათი: ქუჩაზე რომ ვირის ნალი ეპოვნა, იმასაც-კი დასწვდებოდა და შინ მიიტანდა, ისეთი ყაირათიანი და ოჯახის ერთგული კაცი იყო, მაგრამ ქალის უბედურებამ ნასყიდას ყაირათიანობასაც მოსტეხა გვერდი. ადგებოდა დილა ადრიანად ნასყიდა, გარედ გამოვიდოდა, ხელ-პირზე წყალს შეისხამდა, დანაყრდებოდა მშრალის პურით, პირჯვარს გადაიწერდა და გასწევდა ხარაზხანისაკენ. დუქანში ერთს წყვილს ჩუსტს ათ შაურად, ან სამ აბაზად გაჰყიდდა და დაიკარგა ნასყიდა! ამისთანა დროს საცოდავი ოსანა გავარდებოდა ხოლმე თავის მზითევში მოყოლილ ფოჩიან შალ-გადაგდებული და ხან ერთს სირაჯთან მივიდოდა, ხან მეორესთან ნასყიდას საპოვნელად. რამდენისამე წუთის შემდეგ სეიდაბათელები ჰნახავდნენ, რომ ნასყიდა შინისკენ მიდიოდა ბარბაცით და თევზის ნაჭერსა ლოღნიდა, ოსანა-კი უკან მოსდევდა ქმარსა წყევლითა და ქოქვითა.

ესეც კიდევ მეორე სავალალო და ცრემლების საღვრელი იყო კეკელასათვის. სულ რამდენისამე საათის წინ დედის ნაცემს მიადგებოდა დალეული ნასყიდა და სახეს სულ ერთიანად დაუმუჟუქებდა ხოლმე თავის ტლანქის და ძარღვიანის მუშტებით. პირველში-კი თუმცა სწყევლიდნენ და ქოქით ილებდნენ მეზობლები კეკელას, მაგრამ ბოლოს იმათაც მოულბათ ადამიანური გული, შეებრალათ საცოდავი კეკელა და ბევრჯელ, როცა ნასყიდაანთ ქოხიდგან კეკელას წივილკივილის ხმა გამოვიდოდა, იტყოდნენ ხოლმე:

— ე ნასყიდაანთ ოჯახი ისეთის ცუდის ფუძისაა, რომ მაგათ სახლში მოკვდება ვინმე; მაგ საწყალს გოგოს ამოიჭამენ; ტყუილად-კი არა ღმუოდა წუხელი მაგათი ჭრელი ძაღლი. ქა, მთელი ღამე არ მომასვენა, არ მოასვენა ღმერთმა ეგენი!

ერთის სიტყვით, კეკელას უბედურ სიყვარულის შემდეგ ნასყიდაანთ ოჯახი დღითი-დღე უკან მიდიოდა, ნასყიდამ სმას უფრო და უფრო უმატა და ოსანას მრეცხავობით ერთი-ორიოდე გროში რომ არ ეშოვნა, სულ მშივრები ამოწყდებოდნენ.

**

ერთხელ თავზედ ხილაბანდ გადაკრული და შალ-წამოსხმული ორი დედაკაცი დაბახანიდგან გამოვიდნენ და სურბ-სარქისის აღმართისაკენ გასწიეს დიდის ქშენითა და ქაქანით, რადგან ორივეს დიდ-ძალი ახლად დარეცხილი სარეცხი ეჭირათ იღლიებში.

ჯერ დალაქ ზაქარას დუქანთან არ იყვნენ მისულნი, რომ ამ ორ დედაკაცს ვიღაცა აეკვიატა და თვალს არ აშორებდა. დედაკაცები სეიდაბათში შებრუნდნენ, მედაბლეები ჩაიარეს და თავის სახლში მივიდნენ. აგერ შალები მოიხსნეს, ხილაბანდა უბანში გამოვიდნენ და დაიწყეს სველის სარეცხის თოკებზე გაშრიალება; ის კაცი-კი იქვე იდგა და თვალ-მოუშორებლივ ორივეს შესცქეროდა.

ოსანამა და კეკელამ, რადგან ესენი იყვნენ დაბახანიდგან გამოსულნი, ეს კაცი ვერ შენიშნეს, გულ-დინჯადა ჰფენდნენ სარეცხს თოკებზე და ისე იყვნენ ამ საქმეში გართულნი, რომ ერთხელაც არ აუხედნიათ მაღლა. ეს უცხო კაცი იდგა, იდგა, უყურა დედა და შვილს, უყურა, ბოლოს უბნის ვიღაც პატარა ბიჭთან მივიდა, რაღა-

# ახალი ამბავი

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, როგორც შევიტყეთ, უკვე შეუდგენია დრამატიული დასი და ამ დღეებში, ახალს თეატრში, გაიმართება პირველი წარმოდგენა. ითამაშებენ გ. ერისთავის „გაყრას" და ორ-მოქმედებიან კომედიას, რუსულიდამ გადმოკეთებულს თ. დავ. ერისთავის მიერ, სახელად „საძაგელი". მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელისა, საფაროვი-აბაშიძისა, თამაროვისა, ლეონიძისა; ბბ-ნი კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ვ. ალექსიევ-მესხიევი, მაქსიმიძე და აგრეთვე ახალი მოთამაშენნი: ბ-ნი კანდელაკი, ქ-ნი არლანი და სხვანი. შემდეგ წარმოდგენისათვის დასი ამზადებს თ. რაფ. ერისთავის ახალს პიესას—„ქაჩუა", რომელშიაც სასიმღერო ადგილებიც არის მოქცეული.

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ ბ-ნ რონინაშვილისათვის არ მიუციათ ნება მუზეუმის გამართვისა და ჩვენებისა მოსკოვში.

*** ცირკის გვერდზე 7 დეკემბერს ერთი სოფლელი მოხუცებული დედაკაცი შაქრის პურებს ყიდულობდა. გახსნა ფულიანი ცხვირსახოცი, რომელშიაც ოთხი მანეთი და ოთხი აბაზი ჰქონიდა. შაურისა იყიდა შაქრის პური და დანარჩენი 4 მ. და 75 კ. ჯიბეში ჩაიდო. ფეხიც არ გადაედგა, რომ იქვე ამოაცალეს ჯიბგირებმა დედაკაცს ფული. საცოდავმა მორთო ტირილი და ღრიალი: „ნუ გამამჭრით ყელს, სხვის გამოტანებული მქონდა სავაჭროდაო", მაგრამ აბა ჯიბგირებში ვისა ნახავდა ისეთსა, რომ დედაკაცის ცრემლებს იმისთვის გული მოელბო.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება რუსეთის ქალაქ ჩერნიგოვში მილის წყლის გამყვანი ინჟინერი, ბ-ნი სუშჩევსკი. როგორც გვითხრეს ბ-ნი სუშჩევსკი წინად ყოფილა პეტერბურგის მილის წყლის გამყვანის უფროს ინჟენერის, ბ-ნის ალტუხოვის, თანაშემწედ.

*** ზუგდიდიდგან: ჯარის-კაცთა გასაწვევად ზუგდიდის მაზრა გაყოფილი იყო სამ ნაწილად; სამურზაყანოც ამ შემთხვევისათვის ზუგდიდის მაზრას შემოუერთეს და შეადგენდა მეოთხე ცალკე განყოფილებას ჯარის-კაცთა გასაწვევად. ამ განყოფილებიდგან მოწვეული იყო 400 კაცზე მეტი და ამათგან მხოლოდ 48 უნდა გასულიყო. აფხაზეთში ჩვეულებაა, რომ ერთს თავადს ან აზნაურს რამდენიმე ძიძის-შვილი ჰყავს და ამიტომაც მთელი თავად-აზნაურობა სამურზაყანოსი ზუგდიდში მოგროვდა: ვისაც-კი სიარული შეეძლებოდა, ყველანი აქ წამოსულიყვნენ, როგორც კაცნი, აგრეთვე მანდილოსნებიც, უკანასკნელ ნუგეშის და იმედის მისაცემად ჯარში გამოსულთათვის. ძალიან ძნელი იყო იმ ქუჩაზედ გავლა, რომელზედაც ის სახლი იდგა, სადაც ჯარში გამწვევი კომისია მუშაობდა, რადგანაც მთლად გაჭედილი იყო ხალხით. ვინც-კი გაბედავდა, უთუოდ გვერდებს დაიზიანებდა. სამშაბათს, 1 დეკემბერს, შუა-დღის მეთორმეტე საათზედ, დაასრულა კომისიამ მუშაობა. დაასრულა სამურზაყანოს საქმეც. სულ გაყვანილ იქმნა 48 კაცი. ამის შემდეგ ახალი ჯარის-კაცნი წაიყვანეს ეკკლესიაში და ფიცი მიაღებინეს. ფიცის შემდეგ, ეკკლესიისავე ეზოში, აქაურმა ვაჭრებმა მახარაძეებმა გაუმართეს სადილი კომისიას და იმ 48 კაცს, რომლებიც ქუთაისში გაისტუმრეს.

*** იქიდამვე: ორშაბათს, 30 ნოემბერს, აქ მოხდა ერთი საზარელი მკვლელობა, როგორსაც ზუგდიდი რამდენიმე ათი წელიწადია არ მოსწრებია. აი, საქმე როგორ იყო: საღამოს ხუთს საათზედ ერთი ახალგაზდა კაცი, გვარად გეგეჭკორი, ცხენით მიდიოდა; თან ახლდა ერთი მუშა, რომელიც ამ გეგეჭკორის სახლს აკეთებდა. გაიარეს ერთის დუქნის წინ, რომლის სამი მანათი მართებოდა გეგეჭკორის მუშას. მიაღწიეს თუ არა ამ დუქნამდე, წინ დაუხვდა მუშას დუქნის პატრონის დახლიდარი და დაუწყო ფულის თხოვნა. დახლიდრის და მუშის ჩხუბმა და ლაპარაკმა კარგა ხანი გასტანა. მოსწყინდა ცდა გეგეჭკორს და უთხრა დახლიდარს: „ხომ ხედავ, რომ ეხლა არა აქვს, ცოტა კიდევ ადროვე, მე მიგცემ ქირას ამ ცოტა ხანში და მაშინ მოგცემსო". დახლიდარმა ამაყი სიტყვა უთხრა გეგეჭკორს. გეგეჭკორმა ეს იწყინა, როგორც თავ-მომწონე მეგრელმა, მოსხდა და დაუწყო ცემა მათრახით დახლიდარსა. უკანასკნელიც, მოთმინებიდგან გამოსული, ეცა გეგეჭკორს ზევით ცხენზედ, ამოაცალა ხანჯალი და დასჭრა რამდენსამე ალაგას მძიმედ. საბრალო გეგეჭკორმა იქვე სული განუტევა. ამ ამბავს თუმცა ბევრი მაყურებელი დეესწრო, მაგრამ ყველანი სეირს უყურებდნენ იმის მაგიერ, რომ გაეშორებინათ მოჩხუბარნი.

*** მერეთი (გორის მაზრა): ქართლში ესრედ წოდებულის „შეკუციის" შემდეგ, რომელმაც დროებით შელაგმა ოსები, თან-და-თან იწყეს ქურდობა. მართალია, ისე არ გვაწუხებენ, როგორც იერის-ხეობაა შეწუხებული მუღანლოელ თათრებისაგან, მაგრამ აქაც არას გვაკლებენ. კვირაუქმე დღეობით ოსი გადაიკიდებს ხმალს და დახეტიალობს სოფელ-სოფელ. ეხლა, ამ შემოდგომაზე, ხომ სულ დაწრწიან, რადგანაც მოცლით არიან. რაც-კი მოხვდებათ, წაიღებენ, ან წაიყვანენ. კვირას, ნოემბრის 29-ს, გლეხებმა მოიყვანეს თავ-დაჩეჩქვილი, შეკოჭილ-შებოჭეილი ქურდი ოსი, მოსე თოყმაშვილი, დიდი ქურდი, გამოცდილი და გამობრძმედებული თავის ხელობაში. ამ თოყმაშვილს დიდი ხანია თურმე დასდევენ, მაგრამ ეხლა ძლივს იგდეს ხელში. ამ ქურდს არბოში ინდაური მოეპარა; ჩამოსულიყო ძირს, ჭალაზე, სადაც კარგი მოზრდილი ქედილა სძოვდა და ესეც წინ გაევდო. კვირა იყო; ხალხმა შეიტყო და გამოუდგა კეტებითა. რომ შენიშნა ხალხი, დაუძახა ქურდმა.

— ვისია ეს ცხვარი, მომდევს, წაიყვანეთო. „თუ მოგდევს, ამ თოკით რაღას მიათრევო". შემოეხვიენენ თურმე, ქურდმა ხმალს გაიკრა ხელი; მაგრამ დაჰკრეს კეტი, ხმალი გავარდა; დაუშინეს და თავ-პირი სულ ამოუნაყეს. ეს ცხვარი, ვთქვათ, მოგდევდაო, ინდაური რაღა მაჩანჩალა იყოვო. ქურდს ეპასუხნა, რომ ვიყიდეო. აღმოჩნდა-კი, რომ ინდაურიც და ცხვარიც ერთისა და იმავე არბოელის კაცისა იყო. ამ დღეებშივე ქურთიდამ (არბოს ბოლოზეა პატარა სოფელი) ოთხი ძროხა წაეყვანათ.

*** გორი: წუხელის რომელღაც მეფაიტონემ მიკიტანს თუშიშვილს დუქნის ფანჯრები ჩაუმტვრია, თურმე ფაიტონის ხელნა დაატაკა. დახლიდარმა დაითხოვა, მაგრამ ამასაც თავ-პირი ჩაალეწა. მაშინ გულზე მოსულმა დახლიდარმა დანით კარგად დასჭრა გაონავრებული მეეტლე. საზოგადოდ გორში ერთობ გასაძაგლებული და გარყვნილი მეეტლები არიან. ისე ილანძღებიან, როგორც გასალახანავებული დიაცები; პატიოსანს კაცს არ ჩაეჯდომება ზოგიერთს აქაურს ეტლში.

*** „Кут. Вѣд."-ში ვკითხულობთ შემდეგს პატარა შენიშვნას: ციხის-ძირის სიმაგრე შესანიშნავი ისტორიული განძია. ამისდა მიუხედავად, ბათუმის ნავთ-საყუდელის გამკეთებელნი არა კმარობენ იმასა, რომ სხვის ადგილებზე ამტვრევენ ქვასა და თანაც ამ სიმაგრეს ანგრევენ, რა არის—უფრო იეფად დაუჯდებათ ქვაო.

*** იმავ გაზეთის სიტყვით, 29 ნოემბერს ქუთაისში უთამაშნიათ, ბ-ნ კ. მესხის მეთაურობით, საკმაოდ ძნელი პიესა „ურიელ აკოსტა"—გუცკოვისა. საზოგადოება ძლიერ ბლომად დასწრებია. თამაშობას კარგად ჩაუვლია.

## ტფილისის საბჭო.

(7 დეკემბრის კრება)

პირველად მოისმინა კრებამ გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა დაურიგდეს მუქთად წყალი ქალაქის იმ ღარიბთა, რომელნიც მტკვრის ნაპირებს ახლო ცხოვრობენ და მილის გაყვანამდისაც წყალი მუქთად ჰქონდათ, რადგან თვითონ ეზიდებოდნენ.

გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ ჯერ კიდევ როცა ქალაქმა მილის წყლის ხმარების წესის პროექტი წარმოადგინა, სხვათა შორის, ერთს მუხლში ამას ამბობდაო:

„ქალაქის მცხოვრებთა ამ ნაწილს (ღარიბთა) რომ კიდევ მიეცეს ნება მტკვრის წყლის ხმარებისა, ეს უსამართლობაზედ მეტი იქნება: როცა მილის წყალი გაჩნდება, უმთავრესად ის განზრახვა ჰქონდა გამგეობას, რომ ქალაქის მცხოვრებნი როგორმე აცდინოს ამ მდინარის წყლის ხმარებას, რადგან აქ ყველა უწმინდურობის ბუდეა და მომავალშიაც, როცა ქალაქის უწმინდურობა იმატებს, უფრო გაძლიერდება".

ამისათვის ქალაქის გამგეობამ და შენობათა კომისიამ დაადგინეს ისეთი წესი ღარიბებისათვის წყლის მარკების მუქთად მიცემისა, რომელიც არც მილის წყალზედ შემოსავალს დეეტყობოდა და წყლის ანგარიშსაც არ არევ-დარევდა. ეს წესი მოხსენებული იყო პროექტის მე-2 §-ში, მაგრამ საბჭომ

---

ცა უთხრა, რაღაც გაიგონა და გასწია თავის გზაზედ...

არ გაიარა ორმა კვირამ, რომ მთელი სეიდაბათი იყო და კეკელას დანიშნვის ამბავი. ყველა შეჰნატროდა, ყველასა შურდა კეკელას ბედნიერება. დავიწყებული ამბავი კვლავ გაახსენდათ სეიდაბათის მანდილოსნებს და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ.

— ვერ უყურებ, მაგ უჯიშოს, რა ბედი შეხვდა. აი დასწყევლოს მაგათი თავი სამას სამოც-და-სამმა წმინდა გიორგმა, ქა, ჯადოსნები არიან ეგ შეჩვენებულები, თუ რა ამბავია!?

— მერე რა ბიჭი ჩაიგდეს, რა ბიჭი!.. ერთ თავის წონა ოქროდ ღირს. მთელი შუა-ბაზარია თურმე და მეშუშე იოსებას ქება. ექვს თუმნიანი ქამარი არტყია წელზედ. მაგის დუქანში რომ შეხვიდეო, იმ დღეს ბიჭუაანთ ოწეფა ამბობდა, ზღვაა და ულეველიო, კაცს გამოსვლა აღარ უნდაო.

— ბედი თქვი, თორემ განა საქალეთი, გენაცვა, მაგ პირ-ქუშზე ამოვარდა! ნეტა რა ნახა იმ დალოცვილმაც მაგაში, რომ ისე უხატოდ გაგიჟდა: ცხვირი მაგას არ უვარგა, პირია და—თეფშის ოდენა ლაშა ტუჩები ჰკიდია, ჭროლა თვალები ხომ ნაციმბირალს მიუგავს.

— ნასყიდაანთ ალდგომა გაუთენდათ, რაღა! ეხლა ეგ უსინიდისო ყოველ დღე რომ ირთვება და იკმაზება, თურმე შუა-ბაზარში მიდის და მეშუშე იოსებას დუქანს აუვლ-ჩამოუვლის, მაშა! ამბობენ ელაპარაკება კიდეცაო.

— მაგის თავის გამოხეთქამ, ეგ-ღა აკლდა. ახლა მაგასთანაც დაიწყოს ჩურჩულ-კურკური და აბა მაშინ გამოსკდება აი ორივ თვალები.

— კიდეც მაგიტომ დატრიალდნენ. ქა, რა მომაფიქრებინებდა, თუ კეკელას აგრეთი ბედი მიადგებოდა კარსა. აბა კიდეც ეგა ყოფილა მიზეზი, რომ დაზგა ოსანა ერთს ადგილზე მიწაზედ ფეხს აღარა სდგამს; მეც არა ვთქვი, რა ამბავია-მეთქი. განა არა გული რაღასაც მეუბნებოდა და მიჩქროლავდა.

ერთის სიტყვით, კეკელას ამბავი ისე ელდად ეცა ყველას, რომ მტერიცა და მოყვარეც ეხლა ნასყიდაანთ ოჯახის კილვასა და თუთხვნაში იყო. ყველაზედ მეტად უფრო ისინი იგლიჯებოდნენ, რომელთაც გასათხოვარი ქალები უსხდათ სახლში. ერთადერთს ბებია ქეთევანს ებრალებოდა კეკელა და როცა იმის წინ იტყოდნენ რასმე ამ ამბავზედ, გულ-კეთილად ჩაიფიჩფიჩებდა ხოლმე ეს ღვთისნიერი ადამიანი:

— ბედია, შვილო, ბედი! ღმერთმა ისე მოუმართოთ ხელი, როგორც თავიანთს გულს უნდოდეს. განა ტყუილად არის ნათქვამი, შვილო, რომ ღმერთი თავის გაჩენილს არ დაჰკარგავსო, ვენაცვალე იმის ძლიერებასა!

ბებია ქეთევანა ნასყიდაანთ ყველაზედ ახლო მეზობელი იყო და როცა სხვა მეზობლებმა პირი მოარიდეს ოსანასა და კეკელას, მარტო ეს იყო იმათი სიტყვის გამცემი და იმათს ოჯახში შემსვლელ-გამსვლელი. ბებია ქეთევანა მარტოდ-მარტო ცხოვრობდა, არც თვისი ჰყავნდა, არც ტომი, არავინ გააჩნდა ამ ქვეყნად პატრონი და გულის-შემატკივარი. ამბობდნენ, რომ არც ბებია ქეთევანა ყოფილა ახალგაზდობაში წმინდა წყლისაო, თავის სიცოცხლეში ბევრი ვაი-ვაგლახი გამოუვლია და დიდი ტანჯვა-წვალება უნახავსო, მაგრამ ვინ იქნება ისეთი ბედნიერი ამ ცოდვილ ქვეყნად, რომ შავმა, ღვარძლიანმა ენამ და ქვეყნის დაუყენებელმა ყბამ კილო რამ არ გამოაბას. ქეთევანას სეიდაბათში ყველანი პატივსა სცემდნენ, რადგან ოსტატი და ხელოვანი დედაკაცი იყო; ქეთევანა გახლდათ მთელის სეიდაბათის, სურბ-სარქისის უბნის და ხარფუხის ბებიაც, ექიმიც და სხვა ათას გაჭირების ტალკვესი. ბებია ქეთევანას მარტოობის მიზეზი იყო, თუ სხვა რამ და ქეთევანას-კი კეკელაზე გული შევარდნილი ჰქონდა, ხან ჩიხტს შეუკერავდა, ხან ჩიქილას უყიდდა; ხან კიდევ გვერდზე მოისვამდა ათას გვარად დაკონკებულს ნაალზედ და თან წინდის ჩხირებს ატრიალებდა და თვლებს უგდებდა, თან ათას ნაირ ამბებს უამბობდა და არიგებდა. ისე უყვარდა ბებია ქეთევანას კეკელა, რომ ნიშნობის დროს ფირუზის ქინძისთავიც-კი უყიდა თურმე საჩუქრად.

**

კვირა დღე იყო. ბინდი ეპარებოდა დღესა, რომ მეშუშე იოსება აბანოებისაკენ ადიოდა, ბაღდადის ხელსახოცში სამ მანეთიანი მუსიკა გაეხვია და იღლიაში ეჭირა; ეტყობოდა, რომ თავის დონეზედ არ იყო, რადგან სიარულში ხშირად ფეხი შეეშლებოდა და გვერდზედ წავიდოდა. ერთის სიტყვით, ცოტა გადაკრული იყო. ეს სეიდაბათელების სახარბიელო სასიძო მიდიოდა და თან ხმა-მაღლა ლუღლუღებდა:

— ჰმ... მაშ ეგრე, რაღა... მე უნდა გაეეცურებინეთ, მე?!.. ბიჭოდა, იქნება მტრის ენა იყოს, ჰა?.. არა, ნამდვილია, ნამდვილი, რის მტრის ენა, მიჰქარავენ... განა ისე ნიშნობლივ იტყოდნენ, ტყუილს მაგ სისხო ფეხები ექნება?!. კაი გოგონაკია, ღვთის წინაშე, კარგია-და, კაცმა სული როგორ დასწოს... ზედაშის მადლმა, კარგია!.. არა, რა მოსატყუებელი ბიჭი იპოვნეს მაგათაც, თითქო გუშინდელი ალუჩა ვიყოვო... ვინა თქვა?.. ჰო!.. რაზედ ყელს გამომჭრიდნენ და მერე პაპულადაც მევე უნდა გავეხადეთ რაღა... ვაი, თქვენი...

ამ სიტყვებით იოსება სეიდაბათის კარებთან შედგა და ხმა-მაღლივ შეიგინა, ასე რომ გამვლელთაც-კი ყურადღება მიაქციეს და გაოცებით შეხედეს. პატარა ხანს იდგა მეშუშე იოსება სეიდაბათის კარებში გამოტვინებულსავით და ბოლოს ნასყიდაანთ სახლისაკენ გასწია ლასლასით. იმისი გავლა იყო და სეიდაბათელებმა კარებები გამოაღეს, თავები გამოყვეს და ბაღდადის ხელსახოცს შეაჭყიტეს თვალები. ჯერ იოსებას ფეხი არც-კი შედგა ნასყიდაანთ სახლში, რომ ამ ახირებულ ქალბატონებმა ერთად მოიყარეს თავი და იმ ამოცანის ახსნას შეუდგნენ, თუ მეშუშე იოსებას კეკელასათვის რა მიჰქონდაო. ზოგი ამბობდა—საკაბეაო, ზოგს ხელის სარკედ სჩვენებოდა, ზოგს რად და ზოგს კიდევ, ვინ იცის, რად. ამ მაღალ-მნიშვნელობიან ამოცანას გამოცნობაზედ იმდენი იყაყანეს სეიდაბათელებმა, რომ კინაღამ ჩხუბი არ მოუვიდათ.

ნასყიდა ჯერ ისე დღეობით არ იყო შინა და აბა უქმე დღეს რას დადგებოდა ისე, რომ თავის ჩვეულებრივ კერძ ღვინოთი არ მოესველებინა ყელი. ოსანას ის იყო სარეცხი დაეუთოვებინა და პატრონებისთვის წაეღო. ასე რომ როცა მეშუშე იოსება შევიდა ნასყიდაანთა, კეკე მარტო იყო ტახტზედ მოკეცილი და თავის მამის ახალუხს ღუგმებს უმაგრებდა.

მეშუშე იოსებამ ხელი ჩამოართო თავის დანიშნულს და ბაღდადის ხელსახოცში გახვეული მუსიკა იქვე თახჩაში შედო.

— გამარჯობა, კეკე, თქვენები სად არიან?

იგი უარ-ჰყო ამ წლის 20 აპრილის სხდომაზედ და ამასთან ის აზრიც წარმოსთქვა, რომ მუქთად წყლის დარიგება საჭირო არ არისო.

ნოემბრის 30-ს საბჭომ, როცა მტკვარზედ ჩასავალთა გაუქმებაზედ სჯა ჰქონდა, ხელ-ახლად აღძრა ეს საგანი, ე. ი. ღარიბთათვის მუქთად წყლის გაცემა. თუმცა ამ დღეს გამოცემულის ბრძანებითა მტკვარზედ ყველა ჩასავალი დაიხურა, მაგრამ წყლის ხელით-მზიდავებს მაინც მტკვრიდამ დააქვთ წყალი, რადგან ძნელია თვალ-ყურის დევნა. იმის გამო რომ სანდო კაცთაგან შედგენილმა კომისიამ და საბჭომაც ერთ-ხმივ დაადგინა, მტკვრის წყალი ნუ იხმარებაო, როგორც მავნებელიო, ქალაქის გამგეობას არ შეუძლიან არ თანაუგრძნოს იმ წინადადებას, რომ მილის წყალი მუქთად ეძლეოდეს იმ ღარიბთა, რომელნიც მტკვრის ნაპირად ცხოვრობენ.

გამგეობას შეუკრებია ცნობანი შესახებ იმისა, თუ რამდენი ოჯახი ეზიდება წყალს მტკვრიდამ. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ სულ ას ოც-დათერთმეტი ღარიბი ოჯახი უფასოდ წყალს შოულობდა დღემდე; ხუთ-ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ ოჯახზედ, სულ 655 სული შედგება.

ამ მოსაზრებით გამგეობა სთხოვდა საბჭოსა: ა) მე-2 მუხლს იმ წესდებისას, რომელიც უკვე დამტკიცებულია საბჭოს მიერ, ესეთი დამატება გაეუკეთოთო:

ქალაქის იმ ღარიბთა, რომლებიც დღემდე მტკვრიდამ მუქთად იღებდნენ წყალს, ნება აქვთ მუქთად ჰზიდონ წყალი ქალაქის მილებიდამაც უთუოდ სულის ჭურ-ჭლითა და იმ მარკებითა, რომელიც მათ უფასოდ დაურიგდებათ გამგეობისაგან. თუ რამდენად მართლა ღარიბია რომელიმე ოჯახი, ამას გამგეობა გამოიკვლევს იმავე უბნის საპატიო კაცთა გამოკითხვით. ამასთანავე უფასო მარკები იმდენი უნდა გაეცეს, რომ დღეში კაცის თავზედ ერთი „ვედრო" წყლის მეტი არ მოუვიდეს.

და ბ) ამ თავით უფასო მარკები დაურიგდებათ იმ 131 ოჯახს, რომელთა მდგომარეობა გამგეობამ უკვე იცის.

საბჭომ ხმის უმეტესობით დაამტკიცა გამგეობის მოხსენება.

2) მოხსენება გამგეობისა 1888 წელში საშუალო აქციზის გაწერის შესახებ.

ტრახტირებზედ წესდებულების მე-20 და მე-59 მუხლების ძალით, ქალაქებში ტრახტირებმა, სხვა-და-სხვა ბაკებმა და იმ დუქნებმა, სადაც საჭმელებს ჰყიდიან, უნდა ცალკე გადასახადი იხადონ ქალაქის სასარგებლოდ. ეს გადასახადი საშუალო აქციზია; რამდენი უნდა გაიწეროს ეს აქციზი, ამას ქალაქი საბჭო ნიშნავს. 1887—1888 წლამდე ტფილისის საბჭოს დადგენილობით იხდიდნენ ამ გარდასახადსა. ტრახტირები იხდიდნენ ათს თუმანს და ერთს თუმანს ბაკები და დუქნები, სადაც საჭმელებს ჰყიდიან. რადგან წელს ვადა თავდება ამ დადგენილობისა, საბჭომ კიდევ უნდა განიხილოს ეს საგანიო, ამბობდა თავის მოხსენებაში გამგეობა.

გამგეობა იმ აზრისა იყო, რომ არ არის საკმაო საბუთები ამ გადასახადს მიეუმატოთო; პირ-იქითო, სთქვა ბ-ნმა ქალაქის თავმა, ამ 12-ის წლის განმავალობაში პირველად წელს შეეტყო, რომ ეს გადასახადი სრულად არ შემოსდის ქალაქსა. ეს იმით აიხსნება, რომ ხაზინის გადასახადს მოემატაო. გამგეობის აზრით, ისევ იმდენი უნდა დარჩენილიყო ეს გადასახადი, რამდენიც წარსულს წლებში იყო.

საბჭომ მიიღო გამგეობის აზრი.

3) მესამედ მოისმინეს ბ-ნი დ. ზ. **ყორდანოვის** მოხსენება, რომელიც წაკითხული იყო გამგეობის წევრის ბ-ნ **იზმაილოვის** მიერ. ბ-ნ **ყორდანოვი** ამტკიცებდა, რომ მილის წყალი ქალაქს დიდ ფასად უღირსო, ფული ვალად აწევს ქალაქსაო; ამ ფულს გადახდა უნდა, ვალი-ვალად რჩება და ზედ სარგებელიც ემატებაო. გამგეობის ანგარიშით, ქალაქს ამ წყლიდამ დღეში 250 მან. უნდა შემოსდიოდეს, რომ ზარალი არა ნახოსო, მაშინ-როდესაც დღეში 50 მანეთის მეტი არ შემოსდის და ამ გვარად დღეში 200 მან. ზარალი აქვს; ეს ზარალი წელიწადში 72,000 მანეთს შეადგენსო. თუ ესეთი მდგომარეობა ხუთს წელიწადს გასწევს, როგორც ამბობს გამგეობა, სჩანს ქალაქს 360,000 მანეთის ზარალი თავს დაატყდება და ამ ვალის მოსაშორებლად კიდევ სესხის აღება იქნება საჭიროვო.

უმთავრეს მიზეზად ბ-ნი ყორდანოვი იმ გარემოებას ასახელებდა, რომ მილები ძალიან ცოტაა ჩაყრილი ქალაქის ქუჩებში, ასე რომ მცხოვრებთ არა აქვთ საშუალება წყალი ადვილად იშოვნონო. ქალაქმა იმიტომ-კი არ აიღო ვალი, რომ ისევ ფული აძლიოს წყალში, არამედ მუქთად და ადვილად იშოვნოს ივიო. ამისათვის საჭიროა მილი შიგ სახლებში იყოს გაყვანილიო. საბჭოს მიერ დამტკიცებულ წყლის ხმარების წესდებულების მე-16 მუხლით წინად შეღავათი ეძლეოდა ყველას, ვინც-კი მოისურვებდა მილის გაყვანას სახლში: რაც დასახარჯი გაიწერებოდა სახლის პატრონზე, სახლის პატრონს შეეძლო მხოლოდ 15%, ანუ ასზედ 15 შემოეტანა და ქალაქი ვალდებული იქნებოდა მილი გაეყვანა. საბჭომ უარ-ჰყო ეს მუხლი, შესცვალა ისე, როგორც გამგეობამ მოისურვა, ე. ი. გამგეობა ამტკიცებდა, რომ ქალაქს ფული არა აქვს, მილები გაუყვანოს ყველას, 15% არ იკმარებსო. ამიტომაც სრული ხარჯი შემოიტანოს ყველამ, ვისაც-კი უნდა მილის წყალი სახლში ჰქონდესო. საბჭომაც დაამტკიცა ესეთი აზრი გამგეობისა და აქედამ ის წარმოსდგა, რომ მსურველები თუ სულ არა, ძლიერ ცოტანი აღმოჩნდნენ, რომ სრულად შემოიტანონ მილის გასაყვანი ხარჯი; ამიტომაც მილის წყალი დაუხარჯავი გვაქვს მილებშიო. ბოლოს ბ-ნი ყორდანოვი სთხოვდა საბჭოს, ისევ შეეცვალოთ ხსენებული მე-6 მუხლი წესდებისა ისე, როგორც განზრახული იყო, ე. ი. 15% შემოტანა იკმაროს გამგეობამ იმისათვის, რომ მილი გაუყვანოს მსურველთ; დანარჩენი ხარჯი-კი ქალაქმა იკისროს თავდა-პირველად და მერე-კი ისევ სახლის პატრონები ჰზღვავენო. თუ ეს არ შეუძლიან ქალაქს უფულობის გამო, უკეთესია სულ მთლად ქალაქის მილის წყლის საქმე გადაეცეს თუნდ ბელგიის კომპანიას, რომელიც მზად არის იტვირთოს ყველა საჭირო ხარჯი მილების სახლებში გაყვანისა და ყველა ის წესები, რომელნიც დადგენილია საბჭოს მიერ, მხოლოდ პატრონობას ამ მილებისას კომპანია თხოულობს 25-ის წლითა და ამის შემდეგ-კი ისევ ქალაქს დაუბრუნდება იგივე მილები, მოფენილი მთელს ქალაქშიო. რაც შეეხება ვალს, ეს ხომ სულ ასცილდება ქალაქს, რადგან ამის გადახდას კისრულობს იგივე კამპანიაო.

დიდი ბაასი ჩამოვარდა ამ საგნის შესახებ. ბევრი ამტკიცებდა, რომ თავიდა-თავი საქმე გაგვიკეთებია და ეხლა როგორ უნდა გადავცეთ მზა-მზარეული სხვებსაო. თუ რომ სარგებლობას არა ჰხედავდეს კომპანია, განა ჩვენდა დასახმარებლად მოვიდოდნენო!..

საბჭომ დაადგინა: მიენდოს გამგეობას წარმოადგინოს თავისი აზრი შესახებ იმისა, თუ როგორ და რა საშუალებით შეიძლება ქალაქში მილების გამრავლება, რომ წყალი ადვილად სახმარებელი იყოს მცხოვრებლებისათვისაო.

ამაზედ უფრო მეტად საყურადღებო საგნები ამ კრებაზედ არ გარჩეულა.

კრებაზედ დაესწრო სტუმრად ბაქოს ქალაქის თავი. ბ-ნი დესპოტ-ზენოვიჩი, რომელიც ბ-ნმა მატინოვმა მიიწვია იქ, სადაც გამგეობა არის ხოლმე.

ა. ლ—ძე

## წვრილი ამბები

— ვილსონი შთამომავლობით შოტლანდიელია, ეხლა დიდი მამული უყიდნია შოტლანდიაში და იქ აპირებს გარდასახლებას სამუდამო საცხოვრებლად. რა თქმა უნდა, რომ ვილსონი იმ დრომდე ვერ გადასახლდება შოტლანდიაში, ვიდრე ორდენებით ვაჭრობის საქმეს სულ ერთიანად არ დაასრულებს სასამართლო.

— ნიუ-იორკის გაზეთები სწერენ, რომ ქალაქ ბარაკკოში მდ. გუბაზედ მდინარიდგან წყალი შევარდა და 100 სახლი დააქციაო.

— განთქმულს ანატომს ბროკს გამოუანგარიშნია და დაბეჯითებით ამბობს, რომ საღად აღზრდილი ადამიანი იმდენსავე კილოგრამს იწონს, რამდენიც სანტიმეტრი სიმაღლე აქვს, თუ სიმაღლეს ერთს მეტრს გამოვაკლებთო. მაგალითებრ, ვისაც 1 მეტრი და 75 სანტიმეტრი სიმაღლე აქვს, 75 კილოგრამს უნდა იწონდესო.

— პორტიჩში ამას წინად თავი მოუკლავს დამბაჩით ერთს თერთმეტის წლის ყმაწვილს. თვით-მკვლელობის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ამ ყმაწვილს დიდ-ძალი რომანები უკითხავს. ყმაწვილის სტოლზე უპოვნიათ რომანი, რომელიც იმ ფურცელზედა ყოფილა გარდაშლილი, სადაც ერთი გაუბედურებული კაცია აწერილი და ეს კაცი თავის მოკვლას არის მოწადინებული.

— ისპანიის სატახტო ქალაქს მადრიდში ამ ჟამად ერთი მეტად სასაცი-

---

— დედამ სარეცხი წაიღო და მამაჩემი-კი ვინ იცის სად დადის.

— მაშ მარტო დარჩი რაღა.

კეკემ ხმა არ ამოიღო და ნემსს აუჩქარა.

— ეგ რა გიჭირავს ხელში, რას აკერებ?

— მამიჩემის ახალუხია, დუგმები მოშვებულა და ვამაგრებ.

— კეკე, აბა ერთი წამოდექი, რა გიყიდე და!—წაავლო ხელი იოსებამ კეკეს და ტახტიდგან გადმოიყვანა.—აბა, როგორ მოგწონს ეს მუსიკა?..

ჯერ კეკეს მადლობა არ გადაეხადნა, რომ იოსება უცებ გადაეხვია და ლოყაზედ მაგრად აკოცა. კეკე ამ უეცარს ალერსზედ სულ ერთიანად გაფრთხა, გაფითრდა, დაილია. იოსებამ კვლავ ხელები გაიწოდა კეკეს მოსახვევნელად, მაგრამ უფრო მეტად შემკრთალი კეკე გამოუსხლტა ხელიდგან და წივილით კედლის კუნჭულს მიეკრა.

— არ მომიახლოვდე, თორემ დავიყვირებ და მეზობლებს თავზე დაგახევ!—დაიძახა განწირულის ხმით ქალმა.—ნუ მომეკარები, ერთი ბიაბრუობაც მეყოფა, იმ...

ვეღარ დაასრულა, მოაგონდა—ეს რა წამოვროშეო, ტირილი წასქდა და სახეზედ ხელები მიიფარა, თითქო სირცხვილი უნდა დამალოსო.

იოსებას უამისოდაც კეკელას დუშმანის მიერ სმის დროს ჩაგონებული სიტყვები ისევ ყურებში უჟრიალებდა და რა-კი კეკეს უკანასკნელს სიტყვებსაც ყური მოჰკრა, გაგონილი დაიჯერა, წელში გაიმართა და სახეზედ ზიზღი აღებეჯდა. ცოტა ხანს ჩუმად იდგა იოსება, ხმა-ამოუღებლივ შესცქეროდა პირზე ხელებ მიფარებულს ქალსა და შემდეგ დაცინვით უთხრა:

— რაღას ჩაყლაპე სიტყვები, დაასრულე და! დალოცვილო, თუ ნამუსისთვის მკვდარი იყავ და ლეჩაქზე ლაფის დასხმა არ ვინდოდა, რატომ შენს თავს პირველში არ გაუფრთხილდი? მაშ მატყუებდით, რაღა? ფუ, თქვენს ნამუსსა და პირის წყალსა! ეგ იყო ნასყიდას ვაჟკაცობა! აი ქუდი და ულვაში შეურცხვეს იმასა, რომ ვაჟკაცი არ იყოს, აი! მერე-და რა პირით შემოდიოდი ჩემს ოჯახში, რა მოგქონდა თანა მზითვად? შენი გარეცხილი თავი განა! მე რომ კაცი ვიყო, უნდა დაგიჭირო და სულ ბუწუწებით გათრიო, ცხვირიდგან ნალველა ამოგადინო. ფუუ, კაი ხალხი თქვენა ყოფილხართ!

დაასრულა იოსებამ, ერთი ზიზღით გადააფურთხა კეკელასაკენ და ბრაზმორეული გავარდა გარედ.

ნახევარ საათს არ გაევლია, ოსანა მოვიდა, ეს ამბავი შეიტყო და იქვე გულ-წასული დაეცა. მოედო მთელს სეიდაბათს, მეშუშე იოსებას ნასყიდაანთ კეკესათვის თავი დაუნებებიაო და კვლავ დაიწყეს დედაკაცებმა ნასყიდაანთ ოჯახის ქოქით ამოღება, ჭორიკანაობა, ჩურჩული, კალთების გაწევ-გამოწევა, მაგრამ ამ ამბავსაც ჩვეულებრივ კვლავ ლილა გაუცვდა და კვლავ მიწყნარდა ყოველივე.

ნასყიდამ სმას უმატა, დუქანი ლოთობას მიაჭყლიტა და ეხლა დღე-ღამე სირაჯხანაში ეგდო, სირაჯებს რუმბების გაწევ-გამოწევასა და ღვინოების არწყევაში შველოდა; ოსანას ხელები უფრო და უფრო დაუბებრდა და დაეყვლიფა მეტის-მეტის სარეცხისა და სხვა ათასის ჯაფის გამო; კეკემ შავები შეიკერა, ქვრივობა დაიჩემა და გათხოვება გულიდგან ამოიღო. მშვენიერი რამ იყო კეკე შავებში. ჯერ-კი დარდისა და მწუხარებისაგან გახდა, მაგრამ ბოლოს ჟამთა ბრუნვამ კეკელას გულიდგანაც ამოიღო დარდი და საუკუნოებას მიაბარა; კეკე ცოტ-ცოტა წამოთქვირდა, ხორცი მოიმატა და სწორედ თვალს უამებოდა იმისი ნახვა, ისეთი დედაკაცი დადგა.

აი, სწორედ ამ დროს წამოვიდა ვილაცა და კეკეს ამბავი ლექსად ამოიღო. გაისმა მთელის ტფილისის ყველა უბანსა და ქუჩებში დაუბოლოვებელი:

ქვრივი მიყვარს, ქვრივი მე,
კოსტა ქვრივას ჭირიმე! და სხ.

ახლა ამ სიმღერაზედ ასტყდა ერთი ალიაქოთი, მთელი სეიდაბათი „ქვრივი მიყვარსისთვის" იყო გაგიჟებული, ოსანასა და კეკეს ყურით ასმენდნენ და თითქმის ისეთი კვირა არ გამოვიდოდა, რომ სეიდაბათის რომელსამე ოჯახში მაშინ განთქმული მდიდაროვი არა ყოფილიყო მიპატიჟებული, რათა ქვრივის ლექსი ემღერნა და ზედ თარი ეჟღერებინა...

—

გავიდა დრო და ხანი, თხუთმეტთექსმეტმა კაკალმა წელიწადმა თვალის დახამხამებასავით გაირბინა და ჟამთა უფსკრულში გადაიჩეხა. სადღაა უბედური ნასყიდა და ან ოსანა? მიწისაგან შექმნილნი შავმა მიწამ მიიბარა, რათა მიწადვე გარდაექმნა. ერთს დღეს დალეულს ნასყიდას სირაჯხანაში ვიღასთანაც ჩხუბი მოსვლოდა, ფერდში მუშტი დეერტყათ და იქვე სული დაელია. ოსანამ ძალიან ინაღვლა ბედოვლათი ქმარი და არც დიდხანს უცოცხლია მას შემდეგ. ერთხელ დაბახანაში გაციებულიყო, ქვალები დაადგა და ჩაწვა ლოგინში; ხან ჭარელაში აბანეს, ხან ტუხტში, ხან რა ბალახ-ბულახი არ დაალევინეს, რა ბოლები არ უბოლეს, მაგრამ ველარამ უშველა, ველარამ წამოაყენა ფეხზედ ეს ჯაფის მოყვარე ადამიანი. სამი კვირა ლესა ლოგინი და ესეც უკან გაჰყვა თავის ქმარსა.

დარჩა კეკე მარტო. მიჰყიდ-მოჰყიდა რაც სახლში კონკი, ან ბრანძი ჰქონდა (და ან რად უნდოდა, ვისთვის გამოადგებოდა?) და ღვთისნიერს ბებია ქეთევანას შეეკედლა. ქეთევანა შვილივით უვლიდა კეკეს, ბებიაობის დროს თან დაჰყავნდა ჯერ მუხლთ-ბალიშად და ბოლოს ხომ თავისი ხელობაც იმას გარდასცა. გარდაიცვალა ბებია ქეთევანაც და სეიდაბათში იმისი ადგილი ბებია კეკემ დაიჭირა: ეხლა კეკე გახდა ყველას ბებია, ოსტატი და ხელოვანი დედაკაცი...

ახლაცა ცხოვრობს ადრე და მალე დაბერებული, თმაში ჭაღარა შერეული, თუმცა-კი ჭარმაგი დედაკაცი, ბებია კეკე. ბებია კეკეს არც თვისი ჰყავს, არც ტომი, არავინ გააჩნია ამ ქვეყნად პატრონი და გულის-შემატკივარი.

დიაღ, აღარ არიან ნასყიდა, ოსანა, ქეთევანა, აღარც ის კეკეა, რომელსაც ერთ დროს მთელი სეიდაბათი ყბად იღებდა და რომლის ზურგზედაც ქობინას გაჰქონდა ხოლმე დაგა-დუგი, იქნება კეკეს მაწყევართაგანიც ბევრნი აღარ იყვნენ ცოცხალნი, ხოლო ეხლაც ბევრჯელ გაიმღერიან ხოლმე სეიდაბათის პატარა ბიჭები:

ქვრივი მიყვარს, ქვრივი მე,
ქვრივის სულის ჭირიმე!

ამ სიმღერის გაგონებაზედ გარედ, ქეთევანას დაკონკებულს ნაალზედ წინდა ხელში მოკეცილს ბებია კეკეს ჩხირები გავარდება ხოლმე ხელიდგან და წარსულის დარდი, წარსულის ვარამი შორს წაიღებს ბებიას ცხოვრებით მოღალულს, ბევრ ჭირს გამოვლილს გონებას... ზის დიდხანს ასე გატაცებული და თვალებ-გაშტერებული ბებია კეკე, ბოლოს თავს ჩაჰკიდებს და ფიქრებში წასთვლემავს ხოლმე..

ორ-ანი

ლო საქმე არჩევა თურმე. მალაკის პროვინციის სოფ. ტოლოკსში აღმოუჩენიათ ამას წინად მწვალებელთა წრე, რომელთა ზნე-ჩვეულებას სასამართლო იძულებულ გაუხდია ჩარეულიყო ამ საქმეში. ამ მწვალებელთა მიმდევარნი დარწმუნებულნი არიან, რომ თუ გვინდა ღმერთს ვესიამოვნოთ და თავი შევაყვაროთ, ისე უნდა ვიცხოვროთ, როგორც ადამი და ევა ცხოვრობდა შეცოდებამდეო. სასამართლოში ამ საქმის გარჩევის დროს გამოურკვევიათ, რომ ამ მწვალებელთა დედაკაცნი სულ ტიტვლები დადიან და ხელებსა, ფეხებსა და მკერდს იღალავენ თურმე. სასამართლოს საჭიროდ უცვნია ზოგიერთ დამნაშავეთა ჭიპნოზის საშუალებით დაძინება. ერთისათვის შთაუგონებიათ, რომ სულ ოფლად უნდა იღვრებოდეო და მართლაც მაშინვე ოფლი დასსხა თურმე. მეორესათვის უთქვამთ, გორაზედ უნდა ახვიდეო და ამ დაძინებულს კაცს დაუწყია ფეხებით ისეთი მოძრაობა, თითქო მართლაც გორაზედ ადისო. პატარა ხანს შემდეგ დაუწყია ქაქანი, ქშენა, ვითომ-და საშინლად დაღალდაო. როცა უთქვამთ, რომ კმარა, ახვედი კიდეცაო, ჩამომჯდარა, დაუსვენია და ცოტ-ცოტა დონეზედ მოსულა. სასამართლო აგერ რამდენიმე დღეა ამ საქმეს უნდება და, როგორც სჩანს, ბრალდებულთ მცირე სასჯელი გარდახდებათ.

— ამას წინად ვერონში ბანკის პატრონს მანჩინის რაღაც წვეულება ჰქონია. სინიორა მანჩინის უთქვამს თავის მოხუც მსახურისათვის, რომელიც იმათს ოჯახში ოცი წელიწადია ცხოვრობს თურმე: „შენ თითონ ნუ ჩამოიღებ ბროლის ჭურჭელს, ხელები გიცახცახებს და შეიძლება დაამტვრიო ეგ ძვირფასი საქონელიო". ეს სიტყვები მსახურს ძალიან სწყენია, შეურაცხყოფად მიუღია, ათთიაქში წასულა, სადაც ყველანი სცნობდნენ თურმე, დარიშხანა უყიდნია ვითომ-და თაგვებისათვის და აურევია ერთს საჭმელში, რომელიც სტუმრებს უნდა მირთმეოდა თურმე. სადილს შემდეგ სულ ორს საათს არ გაუვლია, რომ 30-მდე კაცს მუცლის გვრემა ასტეხია. მოუწვევიათ მაშინვე ექიმი, რომელსაც თუმცა წამალი მიუცია დარიშხანით მოწამლულებისათვის, მაგრამ მაინც ეშინიან თურმე, ვაითუ აუტეხდეთ რამეო. მსახური დაუპატიმრებიათ და დაპატიმრების დროს უთქვამს: „ეხლა ხომ გაიგო და შეიტყო ქ-ნ მანჩინიმ, ჯერ ისე არ დავბერებულვარ, რომ არაფრისათვის გამოსადეგი აღარ ვიყოვო".

— ვენაში დაუპატიმრებიათ ებრაელი ფრუმკინი, რომელიც იქ ბარონ რომაშკინის სახელითა ცხოვრობდა თურმე. ფრუმკინს, ვენის გაზეთების სიტყვით, ექვსი ცოლი ჰყოლია. პირველი ცოლი ფრუმკინისა მინსკში ცხოვრობს თურმე ეხლა; მეორე—ოდესაში; მესამე—ვარშავში. ყველა ესენი ებრაელნი არიან. მეოთხე ცოლი ცხოვრობს მოსკოვში, სადაც სუტ-ბარონს, გორდიშევის გვარით და ეპიფანის ვაჭრის სახელით, ჯვარი დაუწერია მოსკოვის შეძლებულ ვაჭრის ქალზე, გაუქურდავს თავის მეოთხე ცოლიცა და სიმამრიცა და გაქცეულა საზღვარ-გარედ. მეხუთე ცოლი ფრუმკინისა კამენეც-პოდოლსკის გუბერნიაში ცხოვრობს და ქალია შეძლებულის მამულთ-მეპატრონისა. მეექვსე ცოლი-კი პეტერბურგელია; ამ ქალს ფრუმკინი შეხვედრია ამ ორის წლის წინად იტალიაში, [illegible] და გაქცეულა. ეხლა ეს სუტ-ბარონი გამომტყუდარა ექვსის ცოლის შერთვაში, ყველა შეცოდებანი უღიარებია და ამ დღეებში ვენიდგან რუსეთში მოიყვანენ თურმე დაპატიმრებულსა.

— ერთი ინდოეთის გაზეთი სწერს იმის თაობაზედ, თუ რომელ ქვეყნის ქალს რა უფრო მოსწონს კაცებისა: „ფრანგ ქალებს ის მოსწონთ, რომ იმათს ქმარს ღია შუბლი ჰქონდეს და მხიარული სახე; გერმანელ ქალებს უფრო ის მიაჩნიათ საჭიროდ, რომ კაცი თავის სიტყვისა იყოს, არც-ცრუ, არც-მროშავი; ჰოლანდიის ქალებს მშვიდობიანი კაცები უყვართ, ისეთნი, რომელთაც უბრალო საქმეზედ ცეცხლის მოკიდება და წაკინკლავება არ იციან; ისპანელ ქალებს ისეთი ქმარი უნდათ, რომელიც დაიცავდეს და დაიფარავდეს მათ, ყველას კრიჭაში ჩაუდგებოდეს და, თუ საჭირო იყოს, შურსაც იძიებდეს; იტალიის ქალებს მხოლოდ ის კაცნი მოსწონთ, რომელიც ხშირად დაფიქრდება ხოლმე, ოცნებობს; რუსთა ქალებს ის კაცები უფრო ესიამოვნებათ, რომელნიც ევროპიელებს ბარბაროსებადა სთვლიან; დანიელ ქალებს უფრო დედაკაცური კაცები მოსწონთ, ისეთი კაცები, რომელნიც ერთ-თავად შინა სხედან, სძულთ ყოველ გვარი მოგზაურობა და აქეთ-იქით ტანტალი; ინგლისელ ქალებს უფრო ის კაცები უყვართ, რომელთაც დიდ-კაცებთან მისვლა-მოსვლა და ნაცნობობა აქვთ; ამერიკელი ქალები-კი მზად არიან ყველა კაცს მისთხოვდნენ, ოღონდ-კი მდიდარი და შეძლებული იყოს. ისინი იმის გამოძიებასა და გამოკვლევაში არ შედიან, პატიოსანი კაცია თუ არა ეს კაცი, კუზიანი ხომ არ არის, კოჭლი, ყრუ, ბრმა,—იმათთვის სულ ერთიაო".

# დეპეშა

7 დეკემბერი

ვენა. დღეს ნაშუადღევის პირველ საათიდამ სამამდე იმპერატორის თავ-მჯდომარეობით თათბირობდა მინისტრთა საბჭო. მონაწილეობას იღებდნენ თათბირში გრაფი კალნოკი, ბილანდტი, რეიდტი, გრაფი ტააფე, ტისსა და სხვანი.

ბერლინი. მოკავშირეთა საბჭომ მოიწონა კანონ-პროექტი პურზე ბაჟის შემოღებისა იმ სახით, რა სახითაც იგი შეწყნარებულ იქმნა რეიხსტაგის მიერ.

8 დეკემბერი

ვენა. მინისტრთა გუშინდელს კრებაზე, რომლის თავსმჯდომარედაც იმპერატორი იყო, გადასწყვიტეს; ისეთი სამხედრო ღონისძიებანი არა ვიხმაროთ-რა, რომ დელეგაციების მოწოდება იყოს საჭიროვო.

ლონდონი. კონსერვატორთა საზოგადოებაში დერბში მარკიზმა სალისბერიმ წარმოსთქვა სიტყვა. მარკიზმა სთქვა, რომ მე არ მესმის, რა შიშმა შეიპყრა ბირჟა, გაზეთები და საზოგადოებაო; მოკამათე გაზეთები ისე გვიხატავენ დიდთა სახელმწიფოთა ურთიერთობას, ვითომ ეს ურთიერთობა მეტად გამწვავებული იყოს; ნამდვილად-კი ურთიერთობა მათ შორის ბევრად ნაკლებ არის გამწვავებული, ვიდრე გაზეთები წარმოგვიდგენენო. ცხადი და უეჭველი შიში არა სჩანს-რა, თუმცა ვერც იმას დავფარავთ, რომ, თუნდა სხვაც არა იყოს-რა, მარტო იმ განუწყვეტელ შეთოფ-იარაღებასაც შეუძლიან დაჰბადოს შიში, რომელსაც გაჰყოლიან დიდნი სახელმწიფონიო.

პეტერბურგის ბირჟა, 4-ს დეკემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მიცემისა | გამოცვლისა | გაყიდვისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 10 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 181³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 34 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 275¹/₂ |
| — მეორისა | — » | — » | 247¹/₂ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

**9 დღე** ოთხშაბათი. მეცლად წმ. ღება ანნასი, დედისა წმ. ღვთის-მშობლისა; წინ., მეტყ. სამუელისა. სომეხ. მეცლად-ღება წმ. ქალწულისა მარიამისა ანნას მიერ. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 7—24. ჩადის 4—33. მთვარე 8 დღისაა.

**10 დღე** ხუთშაბათი. ქალწ.-მოწ. მინასი, მოწ. ჰერმოგენისა და ევგრაფისა. კათოლ. წმ. ამბროსისა. სომეხ. თეოპემპტა ეპისკ. და სხ. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—34, მთვარე 9 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| » 2 » | 2¹/₂ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3¹/₂ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | 4 | » |
| მე-3 — | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი | 13 | » |
| ძროხის ხორცი | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 6 | » |
| » 2 » | 5 | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლისაკენ მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

ხომეხთა სასულიერო ნერსესიანის სემინარიის სამზრუნველოს რჩევაში ამა დეკემბრის 23 რიცხვსა, საღამოს 8 საათზედ, გამართული იქმნება ხელახლად გაჭრობა სემინარიის ძველის შენობის ქვედა სართულის მაღაზიების იჯარით გაცემაზედ. ვაჭრობის პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეების გარდა, დღის 10—12 საათამდე. (3—1)

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის საჩკებისა,
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქ ა რ ხ ა ნ ა

გ. გ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—7)

## ვენის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა, 1-ლ კლასიკურის გიმნაზიის პირდაპირ.

მაქვს პატივი განვუცხადო პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღე დიდ-ძალი მზა-მზარეული ტანისამოსი მამა-კაცთა და პატარა ყმაწვილებისათვის. ტანისამოსები საზამთროა და საშემოდგომო, შეკერილია უკანასკნელს მოდაზე. ფასი ტანისამოსებისა ზომიერია და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.

(10—10) გ. ხუდავერდიანცი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი ა"

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 » | 5 „ | 5 „ 25 » |
| 10 „ | 8 „ 75 » | 4 „ | 4 „ 75 » |
| 9 „ | 8 „ — » | 3 „ | 3 „ 50 » |
| 8 „ | 7 „ 25 » | 2 „ | 2 „ 75 » |
| 7 „ | 6 „ 50 » | 1 „ | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.
ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.


Доз. цен. Тиф. 7 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.